UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა ქვემო ქართლში:
განწყობების კვლევა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
2021 წელი

კვლევის ავტორი: ქამრან მამადლი

მკვლევრები: აითაჯ ხალილლი, მარიამ გვიდიანი, ელენე ქაიხოსროშვილი

კვლევის მეთოდოლოგიის ავტორი: ქამრან მამადლი

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, პლატფორმა სალამთან თანამშრომლობით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ წარმოადგენს UNFPA-ს და შვედეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

შესავალი **2**

მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები **4**

ადგილობრივი და სახელმწიფო უწყებების განწყობები და სამუშაო პრაქტიკები **4**

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან გასაუბრების შედეგები 4

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რაიონული სამმართველოების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები 6

საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები 7

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრის სოციალურ მუშაკებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია: 8

თემის წევრების განწყობები **9**

ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთა განწყობები 9

ახალგაზრდების განწყობები 11

მშობლების განწყობები 13

დასკვნა და რეკომენდაციები **15**

შესავალი

საქართველოში ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამგვარი პრაქტიკის ფართოდ გავრცელების მიუხედავად, საზოგადოების აღქმაში, ის, ხშირად, სტერეოტიპულად უკავშირდება ქვემო ქართლის რეგიონს და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების თემებს.

უნდა ითქვას, რომ როგორც მთელ საქართველოში, ისე საქართველოს აზერბაიჯანულ თემშიც, ადრეულ ასაკში ქორწინების მავნე პრაქტიკას მრავალი მიზეზი და სიღრმისეული საფუძველი აქვს. თუმცა მეინსტრიმული ნარატივი არადომინანტურ ეთნიკურ და რელიგიურ თემში არსებულ ამ პრაქტიკას ხშირად ამ ჯგუფების ტრადიციით, კულტურით, „ჩამორჩენილობით", ან/და რელიგიური პრაქტიკებით ხსნის. სინამდვილეში კი, ამგვარი პრაქტიკების სიღრმისეული საფუძველი, შესაძლოა იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა სისტემური დისკრიმინაცია, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალების „რასიალიზება", რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და სიღარიბე, სახელმწიფო უწყებების მიერ მოქალაქეების დაცვის და მათზე ზრუნვის სუსტი პრაქტიკები და პოლიტიკური დღის წესრიგში ამ საკითხების აუსახველობა.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მწირია მონაცემები ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე, რამდენიმე კვლევის მონაცემით შეგვიძლია ვისაუბროთ ქვემო ქართლის რეგიონში გამოკვეთილ ტენდენციებსა და გამოწვევებზე.[1] 2018 წლის UNICEF-ის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით, ადრეულ ასაკში ქორწინების (15 წლის და 18 წლამდე) შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონშია (25%). ამასთანავე, გოგოების ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების 33% დაკავშირებულია კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს კვინტილთან.[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში, სკოლის ადმინისტრაცია სრულფასოვნად არ აწარმოებს მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების მიზეზების სტატისტიკას. ასევე, ანგარიშის ავტორების გადმოცემით, „კვლევის ფარგლებში შერჩეულ სოფლებში, თითქმის არცერთი გოგო არ ამთავრებს სკოლას სწორედ იმიტომ, რომ ქორწინდება".[3] შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში სავარაუდო დანაშაულის 132 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომლის მოტივი ბავშვთან ქორწინება იყო, ხოლო 2019 წელს 149 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, აქედან 105 შემთხვევაში შესაძლო დანაშაულის ჩადენის მოტივი ასევე ბავშვთან ქორწინება იყო.[4] ამასთანავე, 2020 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში შესწავლილ იქნა ადრეულ ასაკში ქორწინების 131 შემთხვევა, საიდანაც 23 შემთხვევა იყო ქვემო ქართლის რეგიონიდან.

პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, გამოსავლის გზების ძიების პროცესში, სახელმწიფო ვალდებულია სიღრმისეულად შეისწავლოს და სწორად გაიაზროს პრობლემის საფუძვლები. ხოლო პრევენციული თუ რეაქციული ღონისძიებების დაგეგმვა პრობლემის ეფექტიან გადაჭრას უნდა უწყობდეს ხელს და არა ეთნიკური ჯგუფების მიმართ სტერეოტიპების და ცრურწმენების გაღრმავებას.

1 კვლევა მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3ee2SWq წყარო ბოლოს ნანახია: 22.12.2021.

2 https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/child_marriage_ge.pdf

3 http://www.parliament.ge/uploads/other/75/75677.pdf

4 https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე საუბრისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი. პირველი, ადგილზე არსებული სახელმწიფო უწყებები როგორ ხედავენ და ხსნიან ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკებს და მათ მიზეზებს. მეორე, რა განწყობები, პოზიციები და ახსნები აქვთ თავად თემის წევრებს (მშობლებს, ახალგაზრდებს).

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე მუშაობის დროს, ისეთი სამიზნე ჯგუფები, როგორიცაა სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი გოგოები და აქტივისტური ჯგუფები, ხშირად საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ფოკუსში ხვდებიან. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, მშობლები ხშირად ამ ფოკუსის გარეთ რჩებიან. ყველაზე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე აქტორების პოზიციების არსებითად გაუაზრებლობა, შედეგად იწვევს მშობლების დემონიზებას და მათი პოზიციების და არგუმენტების გაგებაში გვიშლის ხელს. შედეგად, იკვრება მანკიერი წრე, სადაც ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები მშობლების დასჯაზე აკეთებენ მთავარ აქცენტს. ხოლო თავად მშობლები, ზემოთ ხსენებულ აქტორებს მათთან დაპირისპირებულ მხარედ მიიჩნევენ.

წინამდებარე **კვლევის მიზანი იყო** ადრეულ ასაკში ქორწინების მხარდამჭერი მშობლების მოსაზრებების და მათ გადაწყვეტილებებში არსებული სიღრმისეული მიზეზების შესწავლა. ზემოხსენებული ჯგუფის ქცევის არსებითი და სიღრმისეული საფუძვლების სწორად გაგება სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო სექტორსა და აქტივისტურ ჯგუფებს ტრანსფორმაციული სამუშაოების გაანალიზებაში, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე ჩატარებული არაერთი კვლევის მიუხედავად, მსგავსი ვიწრო ფოკუსით კვლევა პირველად ჩატარდა.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მომზადებული კვლევის დოკუმენტი და მისი მიგნებები ადრეულ ასაკში ქორწინების მხარდამჭერი და გამოცდილების მქონე მშობლების პოზიციების და მოსაზრებების შესახებ მნიშვნელოვან ცოდნას გადასცემს ამ საკითხზე მომუშავე აქტორებს, რომლებიც საქართველოს აზერბაიჯანულ თემთან მუშაობის პროცესში სადამსჯელო და პრევენციული მექანიზმების პარალელურად, მშობლების ცნობიერებაში ტრანსფორმაციულ პროცესებზეც დაიწყებენ მუშაობას, რაც სიღრმისეულად შეცვლის არსებულ რეალობას.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი შემდეგნაირად არის შედგენილი - დოკუმენტის პირველი ნაწილი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა განწყობებს და მოსაზრებებს მოიცავს. მეორე ნაწილში, გადმოცემულია თემის წევრების შეხედულებები და ახსნები არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ხოლო მესამე ნაწილი წარმოადგენს შეჯამებას და რეკომენდაციებს, თუ რა ცვლილების თეორიებს უნდა დაეფუძნოს სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა ამ საკითხზე.

მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე კვლევა თვისებრივი კვლევის მეთოდის მონაწილეობითი ქმედითი კვლევის (Participatory action research) პრინციპით ჩატარდა. კვლევის ავტორები იყვნენ თავად თემის წევრები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა. რესპონდენტები გადანაწილდნენ მათი სოციალური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, სახელმწიფო ენის ცოდნის, ასაკისა და სქესის მიხედვით. ქალი და კაცი მშობლების ფოკუს ჯგუფები ცალ-ცალკე გაიმართა, რათა დამკვიდრებულ პატრიარქალურ ნორმებს ხელი არ შეეშალა ქალების მაქსიმალურად გულწრფელი საუბრისთვის. კვლევის ფარგლებში, ჩატარდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე გოგოსთან და მის ახლობელთან/ნათესავთან. ასევე ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი ახალგაზრდებთან (საერთო ჯამში 19 მონაწილე) და ოთხი ფოკუს ჯგუფი მშობლებთან (17 მონაწილე).

ამასთანავე, დმანისის, ბოლნისის, წალკის, მარნეულის, გარდაბნის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში და ქალაქ რუსთავში გაიმართა ოთხ-ოთხი შეხვედრა ქვემო ქართლში მომუშავე ადგილობრივი თვითმმართველობის, რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, ასევე, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან და სოციალურ მუშაკებთან (საერთო ჯამში 28 შეხვედრა).

დოკუმენტი სამუშაო ანგარიშია და მასში წარმოდგენილ საკითხებს პირველადი ტენდენციების და დინამიკის მოხელთების მიზანი აქვს და მნიშვნელოვანია, რომ ამ ფოკუსით მსგავს კვლევებზე მომავალშიც გაგრძელდეს მუშაობა.

ადგილობრივი და სახელმწიფო უწყებების განწყობები და სამუშაო პრაქტიკები

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან გასაუბრების შედეგები

კვლევის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა ქვემო ქართლის შვიდივე თვითმმართველ ერთეულთან/თვითმმართველი ერთეულის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკური ქართველია და ხშირად არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას ადგილზე არსებული საჭიროებების, წუხილების და გამოწვევების შესახებ. ხშირია, საბჭოს წევრების არაკომპეტენტურობაც. მათი უმრავლესობის წარმოდგენებში ადრეულ ასაკში ქორწინება მხოლოდ საქართველოს აზერბაიჯანული თემისთვის (წალკაში - მუსლიმი ქართველებისთვისაც) დამახასიათებელი მოვლენაა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავად რესპონდენტებს ან მათი ოჯახის წევრებს ჰქონდათ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილება. ამასთანავე, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების შესახებ ცრურწმენები და სტერეოტიპები განსაკუთრებით ძლიერია.

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ როგორ მუშაობენ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საბჭოს წევრებს, უმეტეს შემთხვევაში, ჰქონდათ თავიანთი ხედვა, თუ რას გააკეთებდნენ, თუკი მოიპოვებდნენ ინფორმაციას ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ,

მაგრამ მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ. ამასთანავე, ძირითად შემთხვევებში გამოვლენილი სტერეოტიპული ხედვა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სათანადოდ ვერც ხედავენ ამ საკითხზე მუშაობის საჭიროებას. აღსანიშნავია, რომ თავად მოსახლეობა სათანადოდ არ არის ინფორმირებული გენდერული თანასწორობის საბჭოების არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ და, შესაბამისად, არ მიმართავენ მათ. საბჭოს წევრები ხშირად აცხადებენ, რომ ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების შესახებ ინფორმაციას ისინი იღებენ არაფორმალურ გარემოში, ტრანსპორტით მგზავრობისას ან სხვა სივრცეებში, ხოლო საბჭოსადმი მიმართვის შემთხვევები არცერთ თვითმმართველობაში არ გვხვდება. მუნიციპალიტეტების მიხედვით საბჭოების მუშაობა თითქმის იდენტურია. ამ კუთხით, მცირედით განსხვავდება მარნეულის მუნიციპალიტეტი, თუმცა, თვითმმართველობას და გენდერული თანასწორობის საბჭოს ამ საკითხზე მუშაობის ერთიანი სტრატეგია ან/და ხედვა არ გააჩნიათ.

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების და მშობლების დამოკიდებულებების შესახებ მსჯელობის დროს, საბჭოს წევრები თითქმის ყველგან აცხადებენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი მშობლების „ჩამორჩენილობის", გაუნათლებლობის, მათი კულტურის, ტრადიციების, თუ ადათ-წესების შედეგია. რამდენჯერმე გამოითქვა მოსაზრება, რომ მშობლები ხშირად მიმართავენ ამ პრაქტიკას, რადგან უნდათ, რომ შვილები „პატრონს ჩააბარონ". იშვიათად გამოითქმებოდა მოსაზრებები სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების, უპერსპექტივობის, თუ დაუცველობის განცდის შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოს წევრებიც კი, რომლებიც უშუალოდ უნდა მუშაობდნენ მსგავს საკითხებზე, ხშირად აცხადებდნენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ექნებოდათ ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ, არ მიმართავდნენ შესაბამის უწყებებს, რადგანაც არ უნდათ, რომ „გააუბედურონ/დაანგრიონ" ოჯახები.

ადრეულ ასაკში ქორწინების სიღრმისეული საფუძვლების შესახებ საუბრის დროს, საბჭოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს პრაქტიკა დაკავშირებულია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ტრადიციებთან და მათი ცნობიერების დაბალ დონესთან. ასევე, მათი ნაწილის თქმით, საჭიროა უფრო ძლიერი სადამსჯელო მექანიზმები, რათა ამ ადამიანებს შეეშინდეთ და შეეშვან საკუთარი შვილების ადრეულ ასაკში დაოჯახებას.

მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს წევრები სრულად ვერ აცნობიერებდნენ გენდერის საბჭოს მნიშვნელობასა და ფუნქციებს. მათი თქმით, ადრეული ქორწინების შემთხვევებზე „დიდად არაფერი შეუძლიათ" და თავიანთ როლს მხოლოდ საინფორმაციო შეხვედრებში ხედავენ. საბჭოს წვერთა უმეტესობა არ ფლობს სათანადო ინფორმაციას რეფერირების პროცედურების შესახებ, ნაკლებად თანამშრომლობს სხვა სახელწიფო უწყებებთან და პრობლემურია უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობაც.[5] საბჭოს წევრთა ცოდნა ზედაპირულია, საქმიანობა კი, უმეტესად ფორმალური. ამასთანავე, სხვადასხვა აქტივობას, უმეტესად, საბჭოს სულ ერთი და იგივე წევრები ესწრებიან. ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვევად დასახელდა სერვისების არარსებობაც და ფსიქოლოგის, იურისტის საჭიროება ადგილობრივ დონეზე, რომელიც უშუალოდ იქნებოდა კონცენტრირებული ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობაზე. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საუბარი შეეხო თვითმართველობაში ქმედითი მექანიზმის არსებობას ამ მიმართულებით, რაც მას დამატებით ბერკეტს შესძენდა, რადგანაც საბჭო ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათის მუშაობით შემოიფარგლება.

5 სამართალდამცავ უწყებაში ჩატარებული შეხვედრების შედეგად იკვეთება, რომ თვითმმართველობა ნაკლებად მიმართავს მათ მსგავს საკითხებზე. ასევე, როგორც გამოიკვეთა, საბჭო არც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს სხვა უწყებებთან თანამშრომლობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რაიონული სამმართველოების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რაიონულ სამმართველოებთან ჩატარებული შეხვედრების დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ დონეზე ამ საკითხზე მომუშავე შსს-ს თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი კაცია. საკითხის მიმართ მათი უმრავლესობის დამოკიდებულება კი, ხშირად პრობლემური და არასენსიტიურია.

მცირე გამონაკლისის გარდა, რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების შესახებ ინფორმაციას სახალხო დამცველის აპარატისგან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებიდან და სხვა უწყებებიდან იღებენ. მოსახლეობის უშუალო მიმართვიანობა კი, პოლიციისადმი, ძალზე დაბალია. მათი აზრით, ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა ძირითადად დამახასიათებელია ეთნიკური უმცირესობებისთვის და მომდინარეობს მათი ტრადიციებიდან და კულტურიდან. შსს-ს წარმომადგენლების მოსაზრებების მიხედვით, უმცირესობების თემში პოლიციისთვის მიმართვა მიუღებელი ნორმაა და ამიტომაც, მოსახლეობა პოლიციას იშვიათად მიმართავს. შეხვედრების დროს გამოვლინდა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობების თემს განსხვავებული და, ცალკეულ შემთხვევებში, პრობლემური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მქონედ აღიქვამს, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია და ნაკლებად ხედავს მსგავს შემთხვევებზე რეაგირების საჭიროებას. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ-ერთ მიზეზად სათანადო განათლების არქონას ასახელებენ და მიიჩნევენ, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება. ეს მიგნება გვაფიქრებინებს, რომ შსს-ს თანამშრომლების მხრიდან დაგვიანებული ან შესაძლო არასათანადო რეაგირება ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე, სწორედ მათ შეხედულებებსა და განწყობებს უკავშირდება.

საყურადღებოა, რომ რესპონდენტების მიხედვით, მხოლოდ პოლიციური კონტროლითა და დასჯაზე ორიენტირებული მექანიზმებით პრობლემა ვერ მოგვარდება. მათი აზრით, საჭიროა დამატებითი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს უმცირესობების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას. ამასთანავე, ხშირი იყო მინიშნება ახალგაზრდა თაობასთან აქცენტირებულ მუშაობაზე, რადგანაც, მათი აზრით, ზრდასრული მოსახლეობის დამოკიდებულებების შეცვლა შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პოლიციელები ხაზგასმით საუბრობენ სოციალური მუშაკების სიმცირეზე, ენის ბარიერსა და ფსიქოლოგის მუშაობის საჭიროებაზეც.

პოლიციის თანამშრომლებში გამოიკვეთა დისკრიმინაციული დამოკიდებულებები საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ. შეხვედრისას პოლიციის თანამშრომლები წარმოთქვამდნენ შემდეგ ფრაზებს: „სოციალური სიდუხჭირე არაა მიზეზი ადრეული ქორწინების, მიზეზი ისაა, რომ სისხლში აქვთ ეს ტრადიციები. ეს არის ტრადიცია“, „ყარაჯალაში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეა“.

პოლიციის თანამშრომლების მიხედვით, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხის მიმართ მშობლების დამოკიდებულება ეკონომიკური სარგებლის მიღების ან ეკონომიკური ტვირთის მოშორების სურვილით არის გამოწვეული. რუსთავის პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე მშობლების როლზე საუბრისას, იხსენებს შემთხვევას, როცა ოჯახმა შვილი 30 ძროხის სანაცვლოდ „გაათხოვა“. მისი აზრით, „30 ძროხა ცუდი კუში არ არის“. დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიცია მშობლების როლს ამ საკითხში, ანალოგიურად განიხილავს. ისინი იხსენებენ

შემთხვევას, როცა გოგოს ოჯახმა იჩივლა, თუმცა შემდგომში საჩივარი უკან წაიღო, რადგანაც „ბიჭის ოჯახმა ბევრი ფული გადაუხადა და საჩუქრებიც მიუტანა იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა და ამის ფასად ფაქტიურად შვილი გაყიდა“.

სისტემურ პრობლემებზე საუბრის დროს, პოლიციელები თითქმის არ საუბრობენ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე, უმცირესობების წინაშე არსებულ ბარიერებზე და უპერსპექტივობის განცდაზე. თვალშისაცემია პოლიციელების მიერ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების იერარქიზების პრაქტიკები რეგიონების მიხედვით. ერთ-ერთი პოლიციელის აზრით, „მარნეულში მეტად „განვითარებული“ მოსახლეობაა, რადგან განათლებას უფრო მიაქციეს ყურადღება. დმანისი უფრო შორია და ნაკლებად ექცევა ყურადღება განათლებას“.

საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები

საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების აბსოლუტურ უმრავლესობას ესწრებოდნენ ეთნიკურად ქართველი თანამშრომლები, რომლებიც, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა საქართველოს აზერბაიჯანული თემისთვის იყო დამახასიათებელი და მომდინარეობს ამ ჯგუფის ტრადიციიდან და რელიგიიდან. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „თავის ტრადიციებს მიჰყვებიან, მათ ასე ესმით“. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით კი, „ცოტა რთულია ადამიანს ტრადიციები შეუცვალო, რჯული შეუცვალო“.

ამასთანავე, რესურსცენტრის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში, სკოლებში, მათ შორის, აზერბაიჯანულ ენოვან სკოლებში, მსგავსი პრაქტიკები აღარ იჩენს თავს. თუმცა, სკოლის გაცდენის და მიტოვების მიზეზებს შორის ხშირია ისეთი საფუძვლები, როგორიცაა, საცხოვრებელი მისამართის შეცვლა, საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლა და ა.შ. რესპონდენტების აზრით, ამიტომაც, რთულია სკოლამ აწარმოოს სტატისტიკა ამ კუთხით. რესურსცენტრების თანამშრომლების თანახმად, რეფერირების დოკუმენტს ყველა მასწავლებელი უნდა იცნობდეს. თუმცა ამის შემოწმება რესურსცენტრს არ შეუძლია და ამაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.

რესურსცენტრების თანამშრომლების მიხედვით, ხშირად, ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების წამახალისებლები თავად მშობლები არიან, ამიტომაც, საჭიროა მათთან უშუალო მუშაობა და მათი ცნობიერების შეცვლა. ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, საჭიროა „მშობლებთან საუბრები და მათთან მუშაობა, რადგან სწორედ მშობელია მთავარი რგოლი“. რესპონდენტები მშობლების ამ დამოკიდებულებას მათი მწირი განათლებითა და ცნობიერებით ხსნიან. ხოლო სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და სიღარიბე, მათი აზრით, ამ კუთხით არ წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს 1+4 პროგრამის[6] კრიტიკულ როლზე, რომლის საფუძველზეც უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა ამ ახალგაზრდების შესაძლო პოზიტიურ როლზე, ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკის შეცვლის პროცესში, არ საუბრობენ.

6 1+4 პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. https://www.smr.

რესურსცენტრის თანამშრომლები, განათლების სამინისტროს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბოლო წლების განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს ვერ იხსენებენ. უფრო მეტიც, მათი აზრით, მასწავლებლების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილებასაც კი გამოხატავს, როცა ამ მიმართულებით, სხვა უწყებების მონაწილეობით, კონკრეტული აქტივობები იგეგმება. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, „ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები მორიგ ჯერზე წუწუნებენ იმის გამო, რომ სკოლაში კიდევ იგეგმება რაიმე ღონისძიება, რაც ადრეულ ასაკში ქორწინებასთან არის კავშირში“.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რესურსცენტრის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სკოლას განსაკუთრებული ავტორიტეტი აქვს რეგიონებში. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სკოლების მონაწილეობით, ადრეულ ასაკში ქორწინების თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას. თუმცა, გარდა ტრენინგების ჩატარებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვისა, მათ უჭირთ კონკრეტული ნაბიჯების დასახელება.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრის სოციალურ მუშაკებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია:

ქვემო ქართლში სოციალურ მუშაკებთან ჩატარებული შეხვედრების მონაწილეები ეთნიკურად ქართველები იყვნენ. მათი უმრავლესობა აცხადებდა, რომ როგორც ზოგადად, ასევე, ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების საკითხებზე მუშაობის დროს, ხშირად, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემები ექმნებათ. ამასთანავე, იყო შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკები დამოუკიდებლად ვერ ჩადიან აზერბაიჯანულ სოფლებში. ერთ-ერთი სოციალური მუშაკის თქმით, მას თავისი მეუღლე არ უშვებს აზერბაიჯანულ სოფლებში მარტოს, რადგან დიდ საფრთხეს ხედავს და ეშინია. ასეთი წინასწარგანწყობების პირობებში სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობაზე საუბარი რთულია.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა იმეორებს სხვა უწყებების დამოკიდებულებას და აცხადებს, რომ საქართველოს აზერბაიჯანულ თემში ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხი ამ ჯგუფის ტრადიციებიდან, კულტურიდან და რელიგიიდან მომდინარეობს.[7] ზოგიერთი სოციალური მუშაკი ასევე საუბრობს სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე, პერსპექტივის არარსებობასა და სისტემურ გამოწვევებზე.

სოციალური მუშაკების ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა არა მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული მუშაობა, არამედ შესაბამისი ორგანოების და უწყებების (სკოლა, თვითმმართველობა, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება. ამასთანავე, სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს სპეციალური გზამკვლევი დოკუმენტის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც მათ დაეხმარებოდათ ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე მუშაობაში, განსაკუთრებით, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

სოციალური მუშაკების თანახმად, მშობლებთან და ოჯახებთან ამ საკითხზე პროაქტიული მუშაობა

gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa

7 აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებებიც. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება, მასშტაბური პრობლემაა, ქართველებშიც ხშირია და არ უკავშირდება ეთნიკური უმცირესობების თემსა და ტრადიციებს.

და საუბარი ხშირად იწვევს დადებით ცვლილებებს განწყობებში. თუმცა, ასევე აცხადებენ, რომ ხშირად, გოგოებს სურთ, რაც შეიძლება მალე დააღწიონ თავი მშობლებთან არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს და სიღარიბეს, ამიტომაც, უპერსპექტივობის გამო, თავად ირჩევენ ადრეულ ასაკში დაქორწინებას.

განსხვავებით სხვა უწყებებისგან, სოციალური მუშაკების ნაწილი განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებზეც საუბრობს. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, არაქართულენოვან სკოლებში არსებული განათლების დაბალი ხარისხი, მასწავლებლების კვალიფიკაციის დაბალი დონე და ბაზისური ინფრასტრუქტურული გამოწვევები არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს შორის ამცირებს სწავლისადმი ინტერესს.

რესპონდენტებს შორის ძლიერია განცდა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მშობლებს არ უყვართ გოგოები და ისინი მათ შვილადაც არ მიიჩნევენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ეთნიკური უმცირესობების ტრადიცია და მიდგომაა, რომ მათ ბიჭი შვილი უფრო უყვართ, ვიდრე გოგო, რადგან გოგო მალე წავა სახლიდან და ბიჭი - რჩება“. კითხვაზე, მუშაობენ თუ არა მშობლებთან, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში და როგორია მათი დამოკიდებულება, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოციალური მუშაკების ჩარევაზე მშობლების რეაქცია საწყის ეტაპზე უარყოფითია. ოჯახები ხშირად აფასებენ ამას მათი ოჯახის საქმეში ჩარევად. მათი თქმით, კაცები აგრესიულები ხდებიან, ქალები კი ამბობენ, რომ ეს მათი წინაპრების ტრადიციაა. მათი თქმით, სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო, პირველად ოჯახებში მარტოები არასდროს მიდიან. ამასთანავე, რესპონდენტების თქმით, სკოლის დირექტორები და პედაგოგები მალავენ მსგავს შემთხვევებს, ხელს აფარებენ, რადგან თავადაც ამავე თემის წარმომადგენლები არიან.

რაც შეეხება ბავშვებთან მუშაობას, სოციალური მუშაკების თანახმად, გოგონები ხშირად აცხადებენ, რომ მათ ოჯახმა შეურჩია საქმრო, თუმცა პრეტენზია არ აქვთ, რადგანაც ბავშვობიდანვე შეგუებულნი არიან ამ რეალობასთან. შესაბამისად, უძნელდებათ იძულებითი ქორწინების იდენტიფიცირება.

თემის წევრების განწყობები

ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთა განწყობები

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების საკითხზე საუბრისას და არსებითი ცვლილებების თუ პოლიტიკების დაგეგმვის დროს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანების მოსმენა. თუმცა, საერთაშორისო შეთანხმებების, რეკომენდაციებისა და სამართლებრივ ნორმებში, ამ ადამიანების საჭიროებები, წუხილები და გამოცდილებები, ხშირად, ყურადღების მიღმა რჩება. ზევიდან ქვემოთ, მხსნელის და პროფესიონალების პოზიციებიდან დაგეგმილი პოლიტიკები კი ხშირად კონტექსტიდან ამოვარდნილ, არაეფექტიან და არასრულყოფილ შედეგებს იწვევს.

აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირები მიიჩნევენ, რომ ამგვარი პრაქტიკა მათ გარშემო ჯერ კიდევ ძლიერია, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იკლო. ამასთანავე, მათი აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინების ძირითადი გამომწვევი მიზეზები სიღარიბე, განათლების გამოწვევები/უპერსპექტივობა, პატრიარქატი და ცრუ ტრადიციებია. ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად:

„ხშირად გოგონები ძალიან მკაცრ და ჩაკეტილ გარემოში არიან გაზრდილნი და აქედან გათავისუფლება უნდათ. ძალიან რომანტიზებულია ქორწილი და მის შემდეგი პერიოდიც. უცნაურად, შენ თავს უფრო ღირებულად გრძნობ, იმიტომ, რომ საზოგადოება სხვანაირად გიყურებს, შენ აზრს გეკითხებიან. ასევე, პედაგოგების მიდგომა ახალგაზრდებთან ურთიერთობებში, მე მგონია, რომ პრობლემურია. მოზარდში განათლების მიღების სურვილს ხშირად ვერ აყალიბებენ მასწავლებლები და განათლებას, რომ არ იღებ, ან ვერ იღებ, მაშინ მეორე გარდაუვალი ალტერნატივა ხდება დაქორწინება". (სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთან, 20 წლის)

სხვა რესპონდენტის მიხედვით, ადრეულ ასაკში ქორწინების ჯერ კიდევ არსებული შემთხვევები სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია.

„მე ვიცოდი, რომ იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც მე ვცხოვრობ, პოლიციელების საკმაოდ დიდი ნაწილი არის ნათესავი. ამიტომ, რომც დამერეკა პოლიციელთან, ვიცოდი, რომ ის სანათესაო კავშირი ყველაფერს ისე მოაგვარებდა, როგორც მათ მოუნდებოდათ. ვიცოდი, რომ ჩემი ხმა და ჩემი აზრი არასოდეს მოისმინებოდა. ამიტომ, რა აზრი ჰქონდა დარეკვას, ვინ დამიცავდა?! ბოლოს მე მექნებოდა ცუდი შვილის დაღი. ამ საკითხში, სამწუხაროდ, რაც არ უნდა ძლიერი იყოს კანონი, შენი ოჯახის კავშირები მაინც იმდენად ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ კანონს გვერდი აუაროს". (სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთან, 22 წლის)

რესპონდენტების მიხედვით, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებით, გადამწყვეტი ხმა ძირითადად მშობლებს და ოჯახის უფროსებს ეკუთვნით. ამასთანავე, აცხადებენ, რომ იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა, ეს თავად ბავშვის გადაწყვეტილებაც იყოს. თუმცა, ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ როგორც მშობლების, ისე ბავშვების მოსაზრებები თემში არსებული ადათ-წესების, ჩამოყალიბებული როლებისა და წესრიგის შედეგია. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„მე 15 წლის ასაკში გამათხოვეს. სიმართლე გითხრათ, მაშინ მიხაროდა კიდეც, ხოლო ჩემს მშობლებს ალბათ ნამდვილად ეგონათ, რომ ჩემთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას იღებდნენ. შემდეგ იყო ოჯახის მძიმე ტვირთი, ბავშვები, ჩემი მეუღლეც ძალიან ახალგაზრდა იყო. მძიმეა ადრეულ ასაკში ქორწინება. ახლა გადაწყვეტილი მაქვს, რომ სხვა შესაძლებლობებიც არსებობს და არ ვაპირებ, რომ ჩემი შვილი ადრეულ ასაკში გავათხოვო, უნდა ვასწავლო, ვხედავ, რომ ბევრი რამ სხვანაირადაც შესაძლოა მოხდეს. ჩემს ბავშვობაში, არც მე და არც ჩემი მშობლები სხვა შესაძლებლობებს ვერ ვხედავდით". (სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთან, 30 წლის)

სკოლის როლსა და მნიშვნელობაზე საუბრისას, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ როცა სკოლაში სიარული შეწყვიტა, მისით არავინ დაინტერესებულა.

„ჩვენს სკოლაში არ მახსოვს ჩატარებულიყო რაიმე საინფორმაციო შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. პირიქით, თავად სკოლაც თვალს ხუჭავს ამ ფაქტებზე. მე-9 კლასში ვიყავი, სკოლა რომ მივატოვე, არავინ დაინტერესებულა მიზეზით. ის კი იცოდნენ, რომ გამათხოვეს, მაგრამ რამე ნაბიჯი არ გადადგმულა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, არა და როგორი იმედი მქონდა. თან ჩემი სკოლა ვითომ ქალაქის სკოლაა". (სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთან, 22 წლის)

ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე ყველა რესპონდენტი ნეგატიურად აფასებს ამ პრაქტიკას და სურთ, შეეწინააღმდეგონ მას. თუმცა, მათი შესაძლებლობები და ძალაუფლება, ხშირად, შეზღუდულია.

„რასაც ვაკვირდები, ჩემი ნათესავები არიან მოსწავლეები, ერთი პერიოდი, როდესაც სრულად დისტანციურ სწავლებაზე იყვნენ, თვითონაც და მშობლებსაც საერთოდაც დაავიწყდათ, რომ ისინი მოსწავლეები იყვნენ. მაგ პერიოდში ბიძაჩემს უნდოდა მისი უფროსი შვილის გათხოვება, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მე ვიყავი ყველაზე დიდი წინააღმდეგი ამ აზრის და ეხლაც ვაკეთებ ყველაფერს მისი განათლებისთვის". (სიღრმისეული ინტერვიუ ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილების მქონე პირთან, 24 წლის)

ახალგაზრდების განწყობები

გამოკითხვების დროს აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა ადრეულ ასაკში ქორწინებას მავნე პრაქტიკად და პრობლემად აფასებს. მათი აზრით, ეს არის პრობლემა, რომელსაც ყველაზე მეტად ეჯახებიან გოგოები. მათ გაუჭირდათ ადრეულ ასაკში დაქორწინებული ბიჭის გახსენება. ახალგაზრდების აზრით, ეს პრაქტიკა უფროსი თაობის გამოცდილებების და ყოფის შედეგია. ახალგაზრდების უმრავლესობის მიხედვით, საზოგადოებაში ქალებისთვის განკუთვნილი ადგილი ხშირად მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან და თემში არსებული პატრიარქალური წყობიდან მომდინარეობს. ამის შეცვლა კი მხოლოდ მკაცრი კანონების მიღებით და საპატიმრო სასჯელებით შეუძლებელია.

„თან როგორც ვთქვი, მაშინ ძირითადად იძულებით ხდებოდა გოგოს გათხოვება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმროს ოჯახი იყო მდიდარი. ფაქტიურად მშობლებს არ უნდოდათ ამ შანსის ხელიდან გაშვება, რადგან იცოდნენ, სხვა პერსპექტივა არც არსებობდა. რეალურად ეს სოციალური ფაქტორი ეხლაც მოქმედია, განსაკუთრებით, ხელმოკლე ოჯახების შემთხვევაში, მშობლებს და თავად გოგოსაც უნდა ამ „შავი დღიდან" გამოსვლა". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა, 18 წლის)

ფოკუს ჯგუფის მონაწილე თითქმის ყველა ახალგაზრდა უარყოფითად აფასებს რეგიონებში ადრეული ქორწინების ფაქტების აღკვეთის კუთხით პოლიციელის საქმიანობას მათი აზრით, განსაკუთრებით, ადგილობრივმა პოლიციელებმა ძალიან კარგად იციან დაქორწინებული წყვილის ასაკი, მაგრამ რეაგირებას არ ახდენენ. ახალგაზრდების ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში მათ შეშფოთება გამოხატეს იძულებით გატაცების ფაქტებზე პოლიციის რეაგირებასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ხშირად, პოლიციელი არ მუშაობს ოპერატიულად, ხოლო როდესაც გოგოზე სექსუალური ძალადობა ხდება, პოლიციელი მხარეების შერიგებას ელოდება. ამ პროცესში კი, მთლიანად არის ჩახშობილი გოგოს ხმა. ფოკუსში მონაწილე ახალგაზრდები აცხადებდნენ, რომ მათ არ აქვთ ნდობა პოლიციელის მიმართ.

„ამ საკითხში პოლიციელს არ ვენდობი. განსაკუთრებით კაც პოლიციელებს. ჩვენთან ქალი პოლიციელები ძალიან ცოტაა. კაცები ვერასდროს ვერ გაიგებენ, თუ რაოდენ დიდი ტრაგედიაა ქალისთვის მოტაცება, ადრეულ ასაკში ქორწინება, ოჯახში ძალადობა. ისინი ყოველთვის მომტაცებლის, მოძალადის მხარეს იჭერენ". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა, 20 წლის)

კითხვაზე, იციან თუ არა, ვის შეუძლიათ მიმართონ, თუ მათ, ან სხვა პირის მიმართ ადრეულ ასაკში ქორწინების, იძულების, ან მოტაცების ფაქტები განხორციელდა, ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ დაასახელა სახალხო დამცველის აპარატი და სამოქალაქო აქტივისტების სახელები. ყურადსაღებია, რომ ამგვარი შემთხვევების თავიდან არიდების კუთხით, პოლიციის როლი, მან არასერიოზულად შეაფასა.

> *„პოლიციელის როლს და ძალას ამ კუთხით საერთოდ ვერ ვხედავ, სერიოზულად ვერც ვუყურებ და არ ვენდობი მის მუშაობას. სად არის პოლიცია, სად არის სისტემა?! არ არის! ჩვენს სოფელში გვყავს პოლიციელი, რამდენი შემთხვევა მოხდა ადრეული ქორწინების და ძალიან კარგად ვიცი, რომ მან იცოდა ეს ფაქტები, სოფლის მოსახლეობასთან ურთიერთობის არ გაფუჭების მოტივით არანაირი რეაგირება არ მოახდინა ამ შემთხვევებზე და მეტიც, ის წავიდა 14 წლის გოგოს ქორწილში, კარგად ჭამა-დალია და ისე გავიდა". (ინტერვიუში მონაწილე ახალგაზრდა, 18 წლის)*

რესპონდენტები ასევე პრობლემურად აფასებენ სკოლის როლს ამ საკითხთან დაკავშირებით. ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფში და ადრეული ქორწინების გამოცდილების ქალებში გამოითქვა მოსაზრება, რომ სკოლის ადმინისტრაცია, სხვადასხვა მიზეზით, აშკარად ხუჭავს თვალს ბავშვთა ქორწინების ფაქტებზე. ერთ-ერთი მიზეზია სოფლის ტიპის დასახლებებში მჭიდრო ნათესაური კავშირები და ნაცნობობა, მეორე მნიშვნელოვან მიზეზად კი დასახელდა „სკოლის სახელის გაფუჭების" შიში. ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილის თქმით, როცა მისი და მეათე კლასში იყო, გაათხოვეს და ქორწილი გადაუხადეს, სკოლამ ამ ფაქტზე არა მხოლოდ დახუჭა თვალები, არამედ სკოლის დირექტორმა შემდგომ უკმაყოფილებაც გამოხატა, რომ ოჯახმა ქორწილში არ დაპატიჟა.

> *„ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი ჩემს სკოლაში მისი ნათესავისთვის დასაოჯახებელ გოგონას ეძებდა. ის ხომ მაინც განათლებულია, მასწავლებელია, არ მესმის, რატომ შეიძლება მასაც ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეს". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა, 18 წლის)*

შესაბამისად, გამოითქვა აზრი, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მავნე პრაქტიკა აზერბაიჯანული თემის გაუნათლებლობით არ არის გამოწვეული, რადგანაც ხშირად სკოლის მასწავლებლები და დირექტორებიც კი ეთანხმებიან ამ პრაქტიკას. თავადაც კი ესწრებიან წვეულებებს, რომლებიც ბავშვების დაქორწინების აღსანიშნავად იმართება. ახალგაზრდების აზრით, სხვა ფაქტორები, როგორიცაა უპერსპექტივობის განცდა, სიღარიბე და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სოციალური ნორმები და წესრიგი, ქმნის ამ პრაქტიკას. ასევე გამოითქვა აზრი, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების გამომწვევი მიზეზები, შესაძლოა, რელიგიასა და კულტურაშიც იყოს. თუმცა ახალგაზრდების ორივე ფოკუს ჯგუფში თანაბრად ძლიერი იყო მოსაზრება, რომ ამ პრაქტიკას კავშირი არ აქვს მათ რელიგიასთან. ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილის თქმით:

> *„მე მორწმუნე ოჯახში დავიბადე, მეც მორწმუნე ვარ და თავშალსაც ვატარებ. თუმცა არასდროს არ უთქვიათ ჩემთვის, რომ არ უნდა მესწავლა ან ადრეულ ასაკში უნდა გავთხოვილიყავი. პირიქით, ჩემი რელიგია ცოდნას და სწავლას ქადაგებს. მგონია, რომ ეს დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, პირიქით ცუდ როლს თამაშობს ამ საკითხის მოგვარებაზე". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა, 21 წლის)*

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა მიუთითებს არაქართულენოვანი სკოლების გამოწვევებზე და ამ კუთხით განათლების სისტემაში არსებულ სიცარიელეზე (მასწავლებლების

კვალიფიკაციის დაბალი დონე, ქართული ენის სწავლების გამოწვევები, ინფრასტრუქტურული საჭიროებები), რომლის ამოვსებაც მათ მშობლებს უწევთ თავიანთი ფინანსური სახსრებით. მათი აზრით, ეს ქმნის არათანაბარ და უსამართლო გარემოს და მათ პერსპექტივასა და შესაძლებლობებს მთლიანად მშობლის ან/და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებულს ხდის. თუმცა ახალგაზრდები ასევე აცხადებენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მავნე პრაქტიკის შეცვლა განათლებული ახალგაზრდების ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელია. ისინი აცხადებენ, რომ ძნელია ოჯახებს აზრი შეაცვლევინო პოზიტიური მაგალითების გარეშე. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების რაოდენობის ზრდამ კი, შესაძლოა, დააფიქროს ოჯახები, რომ მათი შვილებისთვის არსებობს სხვა პერსპექტივაც და გამოსავალიც, გარდა ადრეულ ასაკში ქორწინებისა. ზოგიერთმა მონაწილემ გაიხსენა საკუთარი სოფლის მაგალითი, სადაც მათზე უფროსი თაობის ახალგაზრდები განაგრძობდნენ სწავლას, სწავლობდნენ ქართულ ენას და შეეძლოთ ოჯახის მხარდაჭერა, მათ შორის, ფინანსურად. ამან ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი მონაწილის ცხოვრებაზეც მოახდინა გავლენა და მათმა მშობლებმა მათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეუქმნეს. ახალგაზრდები პოზიტიურად აფასებენ 1+4 პროგრამასაც[8] და აცხადებენ, რომ ამ პროგრამამ ბევრი მათგანის მომავალი გადაწყვიტა.

> *„მე ალბათ ვერ ვისწავლიდი, რომ არა ჩვენს სოფელში ჩემზე უფროსი გოგონების სწავლის და შემდეგ დასაქმების გამოცდილება. ჩემმა მშობლებმა მათ მაგალითზე გადაწყვიტეს, რომ შემეძლო მესწავლა და საკუთარი შემოსავალი მქონოდა". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა, 19 წლის)*

მშობლების განწყობები

მშობლების ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკას სრულიად ნეგატიურად არ აფასებენ და მას წინაპრებისგან შემორჩენილ წესად განიხილავენ. მათი აზრით, ოჯახის შექმნა ნებისმიერ ასაკში მძიმე ტვირთია და რაც უფრო ადრეულ ასაკში შევა ადამიანი ამ სივრცეში, მით მალე იწყებს საკუთარი პასუხისმგებლობების გააზრებას. ყველა მათგანმა იცის, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება საქართველოში დაუშვებელი და აკრძალულია. თუმცა, იმასაც ხედავენ, რომ ხშირად, არავინ ისჯება ამის გამო. ამასთანავე, ზოგიერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი სადამსჯელო მექანიზმებს ნეგატიურად აღიქვამს.

> *„არ მგონია, რომ პოლიციას და სახელმწიფოს უფრო მეტად უყვარს ჩემი შვილი, ვიდრე მე და ჩემზე მეტად უნდა, რომ ჩემი შვილი ბედნიერი იყოს. ამიტომ, ვერავინ ვერ ამიკრძალავს, თუ როგორ უნდა მოვიქცე მე ჩემს ოჯახში და ჩემს შვილებთან. როცა გვიჭირს, ვინ მოდის და ვინ გვეხმარება? სულ დაჭერაზე რომ იყურებიან". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 48 წლის)*

მშობელი ქალების ჯგუფში მონაწილე რესპონდენტების აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა არის პრობლემა, რომელსაც ძირითადად უპირისპირდებიან გოგონები. ისინი ამას საზოგადოებაში ქალის ზოგად ჩაგვრას და უჩინარობას უკავშირებენ, რომელიც დღეს ოჯახის ინსტიტუტის სიმყარედ აღიქმება. თუმცა ამ პირობებშიც, შეხვედრების დროს, ადრეული ქორწინების წინააღმდეგ განსაკუთრებით ქალი მშობლები ხშირად ამჟღავნებდნენ რადიკალურ მოსაზრებებს.

8 განათლების სამინისტროს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნარების გამოცდას აბარებენ, ხოლო შემდეგი ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ ქართულ ენას. ქართული ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი, ირიცხებიან 4-წლიან საბაკალავრო პროგრამაზე.

„მე უნდა მოვკვდე, რომ შეძლონ ჩემი ქალიშვილის დაქორწინება ადრეულ ასაკში. მე თავად ვიყავი ბავშვი პატარძალი. 14 წლის ასაკში დამაქორწინეს, ცხოვრების, ოჯახის აღქმა არ მქონდა ჩამოყალიბებული და არც ვიცოდი, რა მელოდა წინ. ეხლაც მაწუხებს ინტიმური ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები. ამიტომ ჩემს სამივე შვილს ამ საკითხებზე აქტიურად ვესაუბრები მათი პატარა ასაკის მიუხედავად. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დედის მხრიდან მკაცრი პოზიციის დაყენება". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 33 წლის)

რესპონდენტების მიხედვით, მათი გადაწყვეტილებები ადრეულ ასაკში შვილების დაქორწინებასთან დაკავშირებით, ყოველთვის მომდინარეობს შვილებზე ზრუნვის და მათი საუკეთესო ინტერესის დაცვიდან.

„მე შვილი 16 წლის ასაკში გავათხოვე. აბა სხვა რა უნდა ეკეთებინა. მაშინ ქართულს ვერ ვსწავლობდით. ბაქოში სასწავლებლად ვერ გავუშვებდი. უმაღლესში არავინ მიიღებდა, რადგანაც ქართული არ იცოდა. საუკეთესო გამოსავალი მისთვის ოჯახის შექმნა იყო. მგონია, რომ დღეს ის ბედნიერია, უკვე საკუთარი ოჯახის უფროსია. შვილები ჰყავს, მეც ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ლამაზი შვილიშვილები მყავს". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 59 წლის)

ხშირად, მშობლები საუბრობენ უსაფრთხოების და შვილებზე ზრუნვის საკითხებზეც. მშობლების ფოკუს ჯგუფების მონაწილეების დისკუსიების მიხედვით, ხშირად ისეთი ბაზისური საკითხებიც კი, როგორიცაა სოფლებში ტრანსპორტის და გარე განათებების არარსებობა, ადამიანის უსაფრთხოების დაცვაზე სახელმწიფოს არასათანადო ზრუნვის შედეგია.

„კარგით, რომ მეუბნებით ასწავლეო. გავუშვი ჩემი შვილი სასწავლებლად. როგორ უნდა წავიდეს და როგორ უნდა დაბრუნდეს? არ არის ტრანსპორტი სოფელში. ყოველდღე მე უნდა წავიყვანო და წამოვიყვანო, სხვა საქმე არ მაქვს? ჩემი შვილი საღამოთი რომ დაბრუნდეს სასწავლებლიდან და მთელი გზა ფეხით რომ იაროს, გარე განათებაც კი არ არსებობს, რომ ისე გამოიაროს სოფელი, უპატრონო ძაღლების არ შეეშინდეს. და ამ დროს ვიღაცამ ჩასვა მანქანაში და წაიყვანა. მაშინ რა უნდა ვქნა მე? ის ვიღაცა მოვკლა? მირჩევნია ჩემი შვილი ჩემს თვალწინ იყოს, თქვენ რაც გინდათ, ის გააკეთეთ". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 42 წლის)

მონაწილეები აცხადებენ, რომ მართალია, დღეს სიტუაცია შედარებით შეიცვალა, თუმცა პრობლემები მაინც რჩება. ერთ-ერთი მშობელი აცხადებს, რომ მისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სამივე შვილს ვერ ასწავლის. შესაბამისად, არჩევანი მხოლოდ ერთ შვილზე უნდა გააკეთოს, ხოლო დანარჩენები უნდა დასაქმდნენ და დაქორწინდნენ და საკუთარ თავს მიხედონ.

„როგორ ვასწავლო ყველას? სად მაქვს ამისი ფული? მეც ხომ ადამიანი ვარ? თქვენ იცით, რა ჯდება თბილისში ერთი ბავშვის სწავლება, მისი ქირა, გზა, ჭამა, სმა და ა.შ." (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 41 წლის)

ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს, რომ მისმა თანასოფლელმა შვილს (გოგონა) განათლება მისცა, მაგრამ დღეს ამ გოგონას არც ოჯახი აქვს შექმნილი და ვერც საქმდება.

„ჩემი მეზობელია სოფელში. მისი შვილის ხელს ითხოვდა ძალიან ბევრი. მან მაშინ გადაწყვიტა, რომ უნდა ესწავლა მის შვილს. წავიდა ეს ბავშვი უნივერსიტეტში. დაამთავრა სწავლა. მაგრამ

რათ გინდა, დღეს ეს გოგონა 24 წლისაა და სახლში ზის, ვერც ოჯახი შექმნა და არც მუშაობს სადმე. რა ქნას ახლა ამ კაცმა? მე არ მინდა ჩემმა შვილებმა ეს გზა გაიარონ. ამ ქვეყანაში ჩვენ სტუმრები ვართ. ამიტომ ჩვენი ადგილი უნდა ვიცოდეთ. ჯობია მალევე შექმნას ჩემმა შვილმა ოჯახი, ვიდრე აქეთ-იქით იაროს, ვითომ რამე ისწავლოს და მერე დარჩეს ესე". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 43 წლის)

ფოკუს ჯგუფების დროს, როგორც ქალები, ისე კაცებიც, საუბრობდნენ საზოგადოებაში არსებულ ნორმებზე, ადათ-წესებზე და მათი დაცვის აუცილებლობაზე. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, ახალგაზრდებს დღეს განსხვავებული ცხოვრება უნდათ, რაც ეწინააღმდეგება მათ კულტურას, ყოფას და რელიგიას. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით იყო განსახვავებული მოსაზრებებიც.

„მე მგონია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება ჩვენი ადათია და არა რელიგია. მაგრამ ვიღაცეები ამას რელიგიის სახელს არქმევს. მე მაქვს წაკითხული ყურანი. იქ ქალი პატივცემულია. ისლამი სამართლიანობის რელიგია. ეს ჩვენი, ხალხის ბრალია, რადგანაც არ გვაქვს განათლება და არ ვიცით კანონები." (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 49 წლის)

ქალების ფოკუს ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია, რომ იცოდნენ და იცნობდნენ, თუ ვისზე ქორწინდება მათი შვილი. შესაბამისად, როცა ხედავენ, რომ შვილისთვის „შესაფერისი კანდიდატია", მაშინ მზად არიან შვილის დასაქორწინებლად, რადგანაც არ იციან, მომავალში მათი შვილი ვის შეხვდება. ამასთანავე, როგორც ქალების, ისე კაცების ფოკუს ჯგუფებში ძლიერი იყო პატრიარქალური და დისკრიმინაციული მოსაზრებები. მსგავსი დამოკიდებულებები განსაკუთრებით გამოითქმებოდა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეზეც ამახვილებდნენ ყურადღებას.

„ქალი რაც შეიძლება მალე უნდა ჩააბარო „პატრონს", მე გავზარდე და დავაქორწინე, შემდეგ რაც უნდათ ის უქნია. ასეთ შავ დღეში, ჩემს გვერდით ცხოვრების ბოლომდე ხომ არ გაჩერდება. მე არ გამიმართლა და იქნებ ჩემს შვილს გაუმართლოს". (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობელი, 42 წლის)

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფო უწყებებსა და თემის წევრებს ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხის შესახებ არსებითად განსხვავებული შეხედულებები და ახსნები აქვთ. შეხვედრებმა ცხადყო, რომ მეინსტრიმულ ნარატივებს, რომლებიც ხშირად ადგილზე მომუშავე უწყებების მიერ არის კვლავწარმოებული და გაძლიერებული, თემის წევრები არ იზიარებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების შესახებ უწყებებს შიგნით არსებული სტერეოტიპები და ცრურწმენები, ხშირად, მათ ამ საკითხზე სიღრმისეული და სრულყოფილი სამუშაოების ჩატარების პროცესში ხელს უშლით.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და საკითხები შეიძლება შემდეგი სახით შევაჯამოთ:

1. **ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე სახელმწიფო უწყებების უმრავლესობის დამოკიდებულებები, განწყობები და ცვლილების თეორიები არსებითად მოწყვეტილია კონტექსტს**

და ხშირად მათ ცრურწმენებს ეფუძნება. სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკური ქართველია. შეხვედრების დროს გამოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს საკუთარი თავისგან დისტანცირებულად განიხილავს და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხს უმცირესობების რელიგიასთან, კულტურასთან, მათ ჩამორჩენილობასთან და გაუნათლებლობასთან აკავშირებს. მაშინ როდესაც თემის წევრები ამ პრაქტიკას სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, უპერსპექტივობას, ადათ-წესებს და პატრიარქატს უკავშირებენ.

- **რეკომენდაცია:** სახელმწიფომ არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ყოფის, კულტურის და იდენტობის შესახებ საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებაზე და მათი მგრძნობელობის გაზრდაზე დაიწყოს მუშაობა
- **რეკომენდაცია:** სახელმწიფომ დაიწყოს ფიქრი ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო უწყებებში დასაქმების ხელშეწყობაზე, რაც, ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების რაოდენობას გაზრდიდა თემის შიგნით, ხოლო მეორე მხრივ, გააძლიერებდა უწყებების ცოდნას და მგრძნობელობას.

2. **ადრეულ ასაკში და ბავშვთან ქორწინების საკითხზე სახელმწიფოს მუშაობა არ არის თანმიმდევრული, სისტემური და ერთიანი.** როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ისე თემის წევრებთან ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მუშაობა ხშირად ფრაგმენტული, დაგვიანებული და არათანმიმდევრულია. თვალშისაცემია, რომ უწყებების უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ინფორმაციას იღებენ ან სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისგან ან სხვა უწყებებისგან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა უწყება მათ მუნიციპალიტეტში ადრეულ ასაკში ქორწინების განსხვავებულ სტატისტიკაზე საუბრობს. სოციალურ მუშაკებს არ გააჩნიათ მუშაობის ერთიანი გზამკვლევი. სკოლებში რეფერირების დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია და მისი გამოყენება ხშირად პრობლემურია.
   - **რეკომენდაცია:** შეიქმნას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების ერთიანი აღრიცხვის სისტემა, რომლის საფუძველზეც ყველა უწყებას ერთიანი სტატისტიკური მონაცემები ექნება შემთხვევების შესახებ
   - **რეკომენდაცია:** შეიქმნას გზამკვლევი დოკუმენტი ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი კონტექსტი
   - **რეკომენდაცია:** თემის წევრი სკოლის მასწავლებლებისთვის, დირექტორების და პოლიციის თანამშრომლებისთვის შეიქმნას ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციაზე მუშაობის კურსი (მათ შორის, რეფერირების დოკუმენტის შესახებ ცნობიერების ამაღლება)
   - **რეკომენდაცია:** გაძლიერდეს პოლიციის მუშაობის მონიტორინგი ადრეულ ასაკში ქორწინების მსხვერპლთა დახმარების კუთხით
   - **რეკომენდაცია:** სახელმწიფომ, თემის წარმომადგენლებისთვის, შეიმუშაოს მშობლების ცნობიერების ამაღლების კამპანია ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე.

3. **ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიღრმისეული მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, უპერსპექტივობის განცდა და პატრიარქატია.** ფოკუს ჯგუფების და შეხვედრების შედეგად ვლინდება, რომ როგორც ახალგაზრდები, ისე მათი მშობლები საუბრობენ უპერსპექტივობის განცდაზე, სიღარიბესა და პატრიარქატზე, როგორც ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე.
   - **რეკომენდაცია:** სახელმწიფომ გამოყოს სპეციალური გრანტი სოფელში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი გოგოების სწავლის დასაფინანსებლად.

4. **ბაზისური ინფრასტრუქტურული გამოწვევების გავლენა, როგორც გოგოების (უმაღლეს) განათლებაზე წვდომაზე, ისე ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციაზე.** მშობლები აცხადებდნენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის და გარე განათებების არარსებობის, ასევე, პოლიციის თანამშრომლების გულგრილობის პირობებში, ისინი არსად არ გაუშვებდნენ თავიანთ შვილებს, რადგანაც არ სურთ მათ საფრთხე შეექმნათ.
   - ➜ **რეკომენდაცია:** ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, სახელმწიფო და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ეს პროექტები ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის და გოგოების განათლებაზე წვდომის მხარდაჭერის ჭრილშიც განიხილონ.
   - ➜ **რეკომენდაცია**: გაძლიერდეს ადგილობრივ პოლიციასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია.

5. **ახალგაზრდები, რომელთა პოზიტიური და წარმატებული მაგალითები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თემში ადრეულ ასაკში ქორწინების მავნე პრაქტიკების ცვლილების პროცესზე.** ახალგაზრდების და მშობლების ფოკუს ჯგუფებიდან ვლინდება, რომ წარმატებული ახალგაზრდების შემთხვევები პოზიტიურ გავლენას ახდენს თემის წევრების დამოკიდებულებაზე ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებით.
   - ➜ **რეკომენდაცია:** სახელმწიფო უწყებებმა მხარი დაუჭირონ ახალგაზრდების დასაქმებას (სკოლაში, ადგილობრივ თვითმმართველობებში, სოფლის რწმუნებულად და ა.შ.), რათა ისინი გახდნენ თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები.